დამტკიცებულია
პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის
დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის
#05 ბრძანებით

პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის მსმენელთა ცოდნის თვითშეფასების წესი

გამოყენების სფერო

მსმენელთა ცოდნის თვითშეფასების წესი (შემდეგში წესი) გამოიყენება პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტში (შემდეგში ინსტიტუტი) საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) სასერტიფიკაციო პროგრამის ტრენინგების მსმენელებისთვის ცოდნის თვითშესაფასებაში დასახმარებლად.

მიზანი

წესის შემუშავების მიზანია:

- მსმენელთა ცოდნის თვითშეფასების უზრუნველყოფა;
- ცოდნის თვითშეფასების მიზნით გამოყენებულ ტესტებში, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (შემდეგში ბაფი) მიერ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის გამოყენებულ ტესტებთან იდენტურობის შენარჩუნება;
- მსმენელთა მოტივაციის გაღრმავება.

თვითშეფასების პრინციპები

მსმენელთა ცოდნის თვითშეფასება გულისხმობს:

- მსმენელის მიერ სატესტო დავალების შესრულებას საკუთარ სივრცეში, ტესტირებისთვის გამოყოფილ დროის მონაკვეთში, სხვა პირის ზედამხედველობის გარეშე; და
- სატესტო დავალების კრიტიკულ მიმოხილვას მსმენელებთან, მათი ჩართულობით.

სატესტო დავალების კრიტიკული მიმოხილვა ხდება ლექტორის მიერ მსმენელებისთვის სწორად გადაწყვეტილი დავალების წარდგენის გზით. მიმოხილვის პროცესმა მსმენელს უნდა დაანახოს, რამდენად მართებულად შეძლო მან დავალების შესრულება და რომელ საკითხებს უნდა დაუთმოს დამატებითი დრო ცოდნისა და უნარების გასაუმჯობესებლად.

მსმენელთა ცოდნის თვითშეფასების ელემენტებია შუალედური (მიმდინარე) და სემესტრული თვითშეფასება.

შუალედური თვითშეფასება ემყარება სემესტრის განვლილ პერიოდში მსმენელის მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარების მიმდინარე ტესტირებას.

სემესტრული თვითშეფასება ხორციელდება მსმენელის მიერ მთელი სემესტრის განმავლობაში მიღებული ცოდნისა და უნარების სემესტრული ტერსირების საფუძველზე და ემსახურება მსმენელის ბაფის გამოცდისათვის მზადყოფნის თვითშეფასებას.

სატესტო დავალება (როგორც შუალედური, ისე სემესტრული თვითშეფასებისთვის) მსმენელებს ეგზავნებათ ელექტრონულ მისამართზე. ლექტორი ჯგუფთან ათანხმებს სატესტო დავალების კრიტიკული განხილვის თარიღს. კრიტიკული განხილვა არ უნდა დაინიშნოს სატესტო დავალების მსმენელებთან გაგზავნიდან 5 დღეზე უფრო ადრე.

შუალედური ტესტირება

შუალედური ტესტირება ყველა მოდულში ტარდება ერთხელ.

შუალედური ტესტირება ტარდება მოდულის სილაბუსით გათვალისწინებული თემების **60-70%-ის** დასრულებიდან 10 დღეში;

შუალედური თვითშეფასებისთვის ტესტებს ადგენს მოდულის ლექტორი. თუ ერთ მოდულში მოწვეულია ერთზე მეტი ლექტორი, მაშინ ისინი ტესტებს ათანხმებენ ერთმანეთთან. დასაშვებია ტესტების შემდგენად სათანადო კვალიფიკაციის მქონე გარეშე პირების მოწვევა.

ტესტის შემდგენი ვალდებულია დაიცვას ტესტების კონფიდენციალობა.

შუალედური ტესტირებისთვის აუცილებელი დროის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 2 ასტრონომიული საათით.

სემესტრული ტესტირება

სემესტრული ტესტირება წარმოადგენს მსმენელის პროფესიონალი ბუღალტრის საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მზადყოფნის შეფასების ინსტრუმენტს.

სემესტრული ტესტირება ტარდება მოდულის პროგრამით გათვალისწინებული ლექციების დასრულების შემდეგ. იგი უნდა უსწრებდეს ბაფის გამოცდას ამავე მოდულში.

ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელია განათლების კოორდინატორი.

ტესტირება ტარდება წერითი ფორმით. სემესტრული სატესტო დავალების შესასრულებლად გამოიყოფა იმდნი საათი, რამდენიც დადგენილია იმავე მოდულში ბაფის გამოცდისთვის.

სემესტრულ ტესტებს ადგენს ინსტიტუტის ლექტორი ან გარეშე პირი.

ტესტები

ტესტები ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ მსმენელმა შეძლოს მის წინაშე დასმული ამოცანის სწორად გაგება.

ტესტების შემდგენელმა უნდა დაიცვას ტესტების საიდუმლო ხასიათი.

ტესტების შედგენის საფუძვლად დასაშვებია მოდულების სახელმძღვანელოებში, პროფესიულ ჟურნალებში, სტანდარტების კომენტარებში ან/და სხვა წყაროებში გამოქვეყნებული (როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე) ტესტების გამოყენება.

ტესტის შინაარსი არ უნდა გასცდეს მოდულის შინაარსს და თემატიკას.

სემესტრული გამოცდისთვის გამოყენებული ტესტებისთვის მინიჭებული ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს 100 ქულას.

ტესტების შემდგენელი ვალდებულია:

- მოამზადოს და განათლების კოორდინატორს გადასცეს ტესტები მსმენელებისთვის სატესტო დავალების გაგზავნამდე მინიმუმ 5 სამუშაო დღით ადრე;
- ამოხსნას ყველა ტესტი და დარწმუნდეს, რომ ისინი წარმოდგენილი ფორმით ამოხსნას ექვემდებარება;
- ტესტის ამოხსნა განათლების კოორდინატორს გადასცეს სატესტო დავალებასთან ერთად;
- განსაზღვროს ტესტის ამოსახსნელად აუცილებელი დამატებითი ცხრილები და ფორმულები, რომელთა მიწოდება მსმენელებისთვის დასაშვებია.

ტესტები კოორდინატორს გადაეცემა ელექტრონული ვერსიით.

რეკომენდაცია სატესტო დავალების შესასრულებლად

მსმენელმა უნდა შეარჩიოს სატესტო დავალების შესასრულებელი მყუდრო სივრცე, სადაც შეუძლია იქონიოს კალკულატორი, სახაზავი, კალამი, ფანქარი, საშლელი და სათლელი.
სატესტო დავალების შესასრულებლად მსმენელმა უნდა:

- გამორთოს ტელეფონი და სხვა ხმოვანი ტექნიკური საშუალება, რომელსაც ყურადღების გაფანტვა შეუძლია;
- დაინიშნოს დავალების დაწყების დრო;
- აკონტროლოს სატესტო დავალებისთვის გამოყოფილი დრო;
- მოაშოროს თვალთახედვის არედან სახელმძღვანელო და სხვა სასწავლო მასალა.

ეს წესი გამოიყენება 2020 წლის 01 ივლისიდან.